საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY №45 Zv.Gamsakhurdia ave. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი **5.10.2018 წელი**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №100

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში

უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, აგრეთვე „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-4 მუხლის “ე“ პუნქტის და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2018 წლის 31 ივლისის №11 სხდომის ოქმით მიღებული თანხმობის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო **განკარგულება:**

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში უსახელო ქუჩას მიენიჭოს ოჩამჩირის სახელი.

2. განკარგულება გადაგზავნილ იქნას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, შინაგან საქმეთა სამინისტროში და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.
3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს კონკრეტული ღონისძიებების გატარება (აბრების, ფირნიშების, რუკების (არსებობის შემთხვევაში), ცნობარების და სხვ. დამზადება, კორექტირება, გავრცელება და სხვ.)
4. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ზუგდიდი რ.ლაღიძისქუჩა №12).

საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა წოწერია**